



აჭიჯენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

*შპს „აჭიჯენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 01 აგვისტოს
სხდომის № 01-03/03 ოქმის დანართი № 05*

აჭიჯენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის პოლიტიკა

2022

სარჩევი

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2.	რისკების იდენტიფიცირება	2
მუხლი 3.	რისკების შეფასება	3
მუხლი 4.	რისკების რაოდენობრივი მაჩვენებლები	4
მუხლი 5.	ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვა	6
მუხლი 6.	ბიზნესუწყვეტობის მართვაში ჩართულ სუბიექტთა პასუხისმგებლობები, სამოქმედო გეგმა	7
მუხლი 7.	ბიზნესპროცესებზე რისკის ზემოქმედების ანალიზი	9
მუხლი 8.	ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა	11

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე ბიზნესპროცესების უწყვეტობის პოლიტიკა ითვალისწინებს შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „ავიცენა“) ყველა შესაძლო რისკს, მათი სრულად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების საშუალებებს, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ზარალის შემცირების სტრატეგიას. წინამდებარე პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმას (შემდგომში - „გეგმა“), რომელიც მოიცავს სტრატეგიას, გათვლილს უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შესაძლო რისკების დადგომასა და მათ პრევენციაზე.


1.2. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის უწყვეტობა, უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების და ვიზიტორთა უსაფრთხოება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შენარჩუნება, საინფორმაციო ბაზის შენახვა და უნივერსიტეტის საქმიანობის მდგრადი განვითარება, როგორც გაუთვალისწინებელ კრიზისულ ვითარებაში, ისე კონკურენტულ გარემოში.

1.3. უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ანუ შემაფერხებელი, რისკის შემცველი მოვლენები. რისკები მრავალფეროვანია, რომელთა ხდომილების ალბათობაც დროში სხვადასხვაა. ამასთან, ყველა მათგანი განსხვავებულ გავლენას ახდენს როგორც ორგანიზაციის მთლიან გარემოზე, ისე მის ცალკეულ სისტემაზე. რისკების გამოვლენის მრავალფეროვნებისა და განსხვავებული პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, მასზე ეფექტური რეაგირებისათვის საჭიროა უნივერსიტეტის პერსონალის გუნდური ჩართულობა, რათა გონივრულად მოკლე დროში შეჩერდეს უარყოფითი გავლენა უნივერსიტეტზე, გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საქმიანობის დროებით უსაფრთხო გაგრძელების ალტერნატიული საშუალებები და მოხდეს სისტემის გამართვა, ნორმალური ფუნქციონირების სრულად აღდგენის მიზნით.

1.4. ავიცენას ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა წარმოადგენს ბიზნესის უწყვეტობის ღონისძიებათა პაკეტს, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ფაქტორებისა და რისკების იდენტიფიცირებას, უნივერსიტეტის საქმიანობაზე მისი უარყოფითი გავლენის დონის შეფასებას, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) და კონკრეტული პასუხისმგებელი პირების ჩართულობას, პრობლემების აღმოფხვრისათვის დროში გაწერილ გადაწყვეტილებათა სავარაუდო გეგმას, წინა პერიოდის გამოცდილებათა შეფასებას, მიღებული გამოცდილებით შემდგომი კორექტირების შეტანის მიზნით სამოქმედო გეგმაში.

1.5. უნივერსიტეტის საქმიანობის ბიზნესუწყვეტობა მოიცავს უწყვეტ მოქმედებათა ჯაჭვს, რომელიც წარმოადგენილია თანდართული სქემის მიხედვით (სქემა 1).

სქემა 1 - უწყვეტ ქმედებათა ჯაჭვი



1.6. უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტობის გეგმა ეყრდნობა ჩარჩოს - „პრევენცია“, „მზადყოფნა“, „რეაგირება“ და „აღდგენა“, მათ შორის:

- **პრევენცია** - უკავშირდება რისკის მართვის დაგეგმვას. აღნიშნული გულისხმობს ინციდენტებთან დაკავშირებული რისკების აღბათობის და/ან გავლენის იდენტიფიცირებას და მართვას. რისკის მართვის პროცესების ძირითადი ელემენტების იმპლემენტაცია ხდება ამ სტადიაზე, სადაც საფრთხეები დგინდება და აღმოფხვრება, ან მცირდება მისაღებ დონემდე;
- **მზადყოფნა** - მოიცავს ფაქტორების ბიზნესზე გავლენის ანალიზის შედეგად საფრთხის აცილების მიზნით ადამიანური რესურსის მზადყოფნასა და უნარ-ჩვევების შეძენას, მატერიალური გარემოს მაქსიმალურ გამართვას რისკების აცილების სტანდარტების შესაბამისად, რისთვისაც წინასწარ ხდება უნივერსიტეტის იმ ძირითადი აქტივობების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების განსაზღვრას, რომლებზეც შეიძლება ნეგატიური გავლენა ქონდეს ნებისმიერ დესტრუქციას და კრიტიკულ ინციდენტებს;
- **რეაგირება** - მოიცავს ბიზნესუწყვეტობის და რისკ-მენეჯმენტის ინციდენტებზე რეაგირების გეგმას, განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც უნდა გატარდეს სხვადასხვა რისკის შემთხვევაში შედეგების მინიმიზაციის, გავლენის კონტროლისა და ლოკალიზაციისთვის;
- **აღდგენა** - წარმოადგენს ფაქტორების გავლენის შემდგომ ეტაპს. იგი მოიცავს მოქმედებათა თანმიმდევრობას, რამაც უნდა შეამციროს მოცდენებისა და შეფერხებების დრო, საფრთხის აღმოფხვრა და გონივრულად მცირე დროში უზრუნველყოს უნივერსიტეტის ფუნქციონირების სრული აღდგენა.

მუხლი 2. რისკების იდენტიფიცირება

2.1. უნივერსიტეტის საქმიანობა მოიცავს კონკრეტულ პროცესებს, გადაწყვეტილებების ეტაპებსა და თანმიმდევრობას. ბიზნესუწყვეტობის გეგმა გათვლილია მიდგომაზე, რომ უნივერსიტეტის საქმიანობის გარემო მუდამ ცვალებადი და განახლებადია, ხასიათდება

სხვადასხვა სირთულის ფაქტორთა გავლენით, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც შიდა საუნივერსიტეტო გარემო, ასევე უნივერსიტეტის გარეთ განვითარებული მოვლენები, რომლებსაც სხვადასხვა ბმით კავშირი აქვს უნივერსიტეტის საქმიანობასთან. აღნიშნულ მოვლენათა იდენტიფიცირება და გავლენის შეფასება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე სამომავლოდ, უნივერსიტეტის მდგრადი ფუნქციონირებისათვის.

2.2. უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობაზე მოქმედი ფაქტორები იყოფა 2 ჯგუფად - შიდა და გარე ფაქტორები:

შიდა ფაქტორები:	გარე ფაქტორები:
➤ უნივერსიტეტის განვითარება და იმიჯი; ➤ სასწავლო პროცესის მართვა; ➤ ადამიანური რესურსები; ➤ სტუდენტთა კონტიგენტი; ➤ სოციალური მდგრადობა ➤ ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური გარემო; ➤ ფინანსური მდგრადობა; ➤ სამართლებრივი გარემო; ➤ საინფორმაციო გარემო; ➤ კომუნალური მომსახურება; ➤ სანიტარული მდგომარეობა; ➤ უსაფრთხოება; ➤ დაცვა;	➤ ბუნებრივი კატასტროფები; ➤ ეკოლოგიური მდგომარეობა; ➤ პოლიტიკური გარემო ; ➤ სახელმწიფო მართვის პრინციპები; ➤ ეკონომიკური კრიზისები; ➤ კონკურენცია; ➤ ლოჯისტიკური გარემო; ➤ მუნიციპალური სერვისები; ➤ კომუნალური ინფრასტრუქტურა; ➤ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგრადობა; ➤ ბუნებრივი კატასტროფები; ➤ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება; ➤ პოლიტიკური გარემო; ➤ შიდა პოლიტიკური კონფლიქტები; ➤ კონკურენცია.

მუხლი 3. რისკების შეფასება

3.1. ავიკენას ბიზნესპროცესების უწყვეტობის წარმოდგენილ გეგმაში რისკების შეფასება მოიცავს ფაქტორების დაკონკრეტებას და შეფასებას ორი მიმართულებით, ესენია მოვლენათა ხდომილების ალბათობა და ბიზნეს-საქმიანობაზე მისი გავლენის შეფასება. თითოეული მათგანი დაყოფილია ხუთ დონედ და ფასდება 5-ბალიანი სისტემით.

3.2. რისკის დონის შეფასება მიიღება „ალბათობისა“ და „გავლენის კოეფიციენტების“ ნამრავლით.

3.3. რისკების შეფასების ქულათა რაოდენობა შეადგენს 1-დან 25-ის ჩათვლით შუალედს, ამასთან, დაბალი ქულა გულისხმობს უმნიშვნელო გავლენის მქონე რისკს, ხოლო მაღალი - ბიზნეს-უწყვეტობაზე კრიტიკული გავლენის ქონას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს

მნიშვნელოვანი შეფერხებები, ადამიანური და მატერიალური ზარალი, საქმიანობის პროცესის პარალიზება (სქემა 2).

სქემა 2 - რისკების შეფასების ცხრილი (მატრიცა)

		ქულა	რისკის გავლენა				
			ფატალური	მაღალი	ზომიერი	ნაკლებად მნიშვნელოვანი	უმნიშვნელო
			5	4	3	2	1
მოხდენის ალბათობა	მაღალი ალბათობა	5	25	20	15	10	5
	სავარაუდო	4	20	16	12	8	4
	შესაძლებელი	3	15	12	9	6	3
	ნაკლებად სავარაუდო	2	10	8	6	4	2
	იშვიათი	1	5	4	3	2	1

მუხლი 4. რისკების რაოდენობრივი მაჩვენებლები

4.1. ხდომილების ალბათობა (სქემა 3) ცალკეული შეფასებების (ქულების მიხედვით) შემდეგ შინაარსს მოიცავს:

სქემა 3 - ალბათობის სიხშირე

ქულა	სიხშირე	დეფინიცია
5	დიდი ალბათობა	სრულიად მოსალოდნელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში რეგულარულად მოხდეს
4	სავარაუდო	მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ მოხდეს/განმეორდეს
3	შესაძლებელი	შეიძლება მოხდეს/განმეორდეს იშვიათად
2	ნაკლებად სავარაუდო	შესაძლოა, მაგრამ სავარაუდოდ არ მოხდება
1	იშვიათი	შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით არასდროს მოხდება

4.2. რისკების გავლენის (სქემა 4) შეფასება ასეთია:

სქემა 4 - ჰოტენციური შედეგი

ქულა	რისკის ზეგავლენა	დეფინიცია
5	ფატალური	გარემოს კრიტიკული შეუსაბამობა - მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს უნივერსიტეტის საქმიანობის

		შეჩერებას გარკვეული დროით და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა.
4	მძიმე	გარემოს არსებითი შეუსაბამობა - შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, უნივერსიტეტის საქმიანობის მიმდინარე ეტაპზე, მაგრამ მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია საქმიანობის უმოკლესი პერიოდისათვის.
3	ზომიერი, საშუალო სიმძიმის	გარემოს ზომიერი შეუსაბამობა - შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში (მიმდინარე ეტაპზე) საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და/ან უნივერსიტეტის საქმიანობას, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას და უნივერსიტეტის საქმიანობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ.
2	ნაკლებად მნიშვნელოვანი	გარემოს არაარსებითი შეუსაბამობა - შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს უქმნის.
1	უმნიშვნელო	მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი), უნივერსიტეტის საქმიანობაზე არაარსებითი გავლენის მქონე, ლოკალური შეფერხებები, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია საქმიანობის შეფერხების გარეშე უმნიშვნელო დანაკარგებით.

4.3. რისკების შეფასებიდან გამომდინარე მოქმედებათა ზოგადი გეგმა მისი ცალკეული დონის მიხედვით (სქემა 5):

სქემა 5 - რისკები კატეგორიის მიხედვით

ჯამური ქულა	რისკის კატეგორია	საჭირო ღონისძიებები
17-25	მიუღებელი / კრიტიკული რისკი	- სამუშაო უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ; - საჭიროებს მყისიერ რეაგირებას; - დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ადამიანთა განრიდება უსაფრთხო ზონებში; - დამდგარი რისკის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება შეტყობინების გაგზავნა იმ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფოში), რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და მოვალეობა რათა მოხდინოს რეაგირება.
12-16	მაღიან მაღალი რისკი	- ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე; - საჭიროა მყისიერი რეაგირება; - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დამდგარი შედეგების მაქსიმალურად სწრაფ აღმოფხვრას, რათა აღდგენილ იქნას უნივერსიტეტის ფინანსური, ორგანიზაციული ან/და ოპერაციული მდგრადობა; - სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების მიხედვით შეტყობინება მიეწოდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რეაგირებისათვის; - კონკრეტული რისკის შესაბამისად მოხდეს იმ ტერიტორიის იზოლაცია, სადაც ადგილი ჰქონდა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის რისკის დადგომას

7-11	არსებითი / საშუალო რისკი	➤ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებები უნდა გატარდეს გონივრულ ვადებში; ➤ საჭიროა დროული რეაგირება, უნდა განისაზღვროს ადეკვატურია თუ არა არსებული კონტროლის პროცედურები ან განისაზღვროს შემდგომი ქმედებების ან რისკის აღმოფხვრის აუცილებლობა; ➤ მონიტორინგი და შემოწმება, არსებული ბიზნეს-პრაქტიკის ან შეხვედრების (თათბირების) საშუალებით.
3-6	დაბალი / მისაღები რისკი	➤ უნდა გატარდეს ღონისძიებები უმოკლეს ვადაში; ➤ საჭიროა სწრაფი რეაგირება რისკის შემდგომი გაღრმავების პრევენციის მიზნით. ➤ საჭიროა დამდგარ რისკთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ანგარიშის მიწოდება მენეჯერებისთვის; ➤ საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგი და შეფასება
1-2	უმნიშვნელო რისკი	➤ ღონისძიებები ტარდება განსაკუთრებული ზომების მიღების გარეშე; ➤ ჩვეულებრივი პროცედურებით მართვა; ➤ დამდგარი რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მენეჯერებისთვის.

მუხლი 5. ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვა

5.1. რისკ გარემოში უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისათვის იქმნება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან და პერსონალით დაკომპლექტებული რეაგირების ჯგუფები, რომელთაც დეტალურად გაეწერება თანამდებობრივი მდგომარეობა, მოქმედებები ცალკეული რისკების შემთხვევაში, გადაწყვეტილებათა მიღება და მოქმედებათა თანამიმდევრობა. აღნიშნული მიზნით იქმნება:

ა) ბიზნესუწყვეტობის მართვის საკოორდინაციო საბჭო;

ბ) კრიზისის მენეჯმენტის ჯგუფი.

5.2. ბიზნესუწყვეტობის მართვის საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს ბიზნეს უწყვეტობის სტრატეგიულ მიზნებსა და მიმართულებებს, გაუწევს ზედამხედველობას კრიზის მენეჯმენტის ჯგუფს და მოახდენს საგანგებო სიტუაციების მართვას მასშტაბური ინციდენტის დროს.

5.3. საკოორდინაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისაგან: რექტორი; რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით; რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით; რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით; უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (შემდეგში - მედიცინის სკოლის) დეკანი, სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ხელმძღვანელები.

5.4. კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი განხორციელებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესრულებას კრიზისული (საგანგებო) სიტუაციების დროს. კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი ანგარიშვალდებულია ბიზნეს უწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორთან და მასშტაბური ინციდენტის დროს ვალდებულია დაეკონტაქტოს მას.

5.5. კრიზის მენეჯმენტის ჯგუფი დაკომპლექტებულია კრიზისული სიტუაციების მართვისთვის საჭირო კომპეტენციის მქონე და უნივერსიტეტში შესაბამისი მიმართულებით ფუნქციების შემსრულებელი უნივერსიტეტის თანამშრომლებით:

ა) რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით;

- ბ) შრომის უსაფრთხოების, დაცვის და სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი;
- გ) ექიმი;
- დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ე) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ვ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ზ) ავიცენას მედიცინის სკოლის წარმომადგენელი.

მუხლი 6. ბიზნესუწყვეტობის მართვაში ჩართულ სუბიექტთა პასუხისმგებლობები, სამოქმედო გეგმა

6.1. უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის მართვაში ჩართული სუბიექტები პასუხისმგებელია შემდეგი აქტივობის განხორციელებაზე:

6.1.1. რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით:

- ა) ასრულებს უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის მართვის საბჭოს კოორდინატორის ფუნქციას;
- ბ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის მართვის სტრატეგიისა და გეგმის შესრულებაზე;

6.1.2. ბიზნესუწყვეტობის მართვის საკოორდინაციო საბჭო:

- ა) შეიმუშავებს, განიხილავს და შეაფასებს უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის მართვის გეგმას;
- ბ) ამყარებს კომუნიკაციას უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან (სკოლასთან) და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან/სამსახურებთან/თანამდებობის პირებთან, როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერაციულ დონეზე, რათა უზრუნველყონ უნივერსიტეტის თანამშრომლების ჩართულობა ბიზნესუწყვეტობის გეგმის განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე;
- გ) მოახდენს საგანგებო სიტუაციების მართვას მასშტაბური ინციდენტების დროს;
- დ) მოახდენს ყოველწლიურ შეკრებას და განიხილავს ბიზნესუწყვეტობის გეგმის ცვლილების საჭიროებებს;
- ე) ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

6.1.3. შრომის უსაფრთხოების, დაცვის და სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი:

- ა) შეასრულებს კრიზის მენეჯმენტის ჯგუფის კოორდინატორის ფუნქციას;
- ბ) მოახდენს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის/სამსახურების/თანამდებობის პირების ინფორმირებას შესაძლო საფრთხის შესახებ;
- გ) უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესრულებას;
- დ) მოახდენს რეაგირებას კონკრეტულ რისკებსა და ინციდენტებზე, გამოავლენს ხარვეზებს;

- ე) შეისწავლის თითოეული შემთხვევის წარმოშობის მიზეზებს;
- ვ) წარუდგენს ბიზნესუწყვეტობის მართვის საბჭოს შესაბამის დასკვნებსა და წინადადებებს;
- ზ) უზრუნველყოფს კომუნალური მომსახურების მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში მათ გათიშვას;
- თ) მოახდენს შენობის მდგრადობის პერიოდულ შემოწმებას და უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების განსაზღვრას;
- ი) განახორციელებს შენობაში შემსვლელ და გამსვლელ პირთა კონტროლს;
- კ) განახორციელებს დაზიანებული ავეჯის და სხვა სასწავლო/საოფისე ინვენტარის შეკეთება/შესყიდვას;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ალტერნატიული სასწავლო და საოფისე ფართის მოძიებას;
- მ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ძირითადი პერსონალის ტრანსპორტირებას.

6.1.4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

- ა) უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და შენობის უსაფრთხოებას;
- ბ) უზრუნველყოფს სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირებასა და კონტროლს პოტენციურ საფრთხეებზე;
- გ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის სავაკუაციო გეგმას და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს უნივერსიტეტის ევაკუაციას;
- დ) უზრუნველყოფს რადიოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური და ხანძარსაწინააღმდეგო საფრთხეების შინაარსსა და ადგილმდებარეობაზე ინფორმირებულობას;
- ე) უზრუნველყოფს შენობის დეზინფექციის ორგანიზებასა და კონტროლს;
- ვ) იურიდიულ სამსახურთან ერთად მოახდენს კომუნიკაციასა და კოორდინაციას ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან.

6.1.5. ექიმი - უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას;

6.1.6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - მედიცინის სკოლის დეკანი:

- ა) უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკის გაცნობას სკოლის თანამშრომლებისთვის;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის გეგმის საკითხების განხილვას ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში;

6.1.7. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური (კომუნიკაციის კუთხით):

- ა) შეიმუშავებს ეფექტურ საკომუნიკაციო გეგმას უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, მედიის და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის;
- ბ) უზრუნველყოფს ცრუ ინფორმაციის გავრცელების პრევენციას და კონტროლს;

გ) უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს სტუდენტებისთვის საჭირო საკომუნიკაციო სერვისების გაწევას.

6.1.8. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური:

ა) უზრუნველყოფს მონაცემთა, სატელეკომუნიკაციო და IT სისტემებისა და ქსელების გამართულ მუშაობას და პრობლემების შემთხვევაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას;

ბ) უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოების სათანადო კონტროლს;

გ) მოახდენს ოპერაციების სარეზერვო ფაილების ორგანიზებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სამუშაო და სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისთვის მზადყოფნას;

6.1.9. საფინანსო-საბუღალტრო სამსახური:

ა) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს ხელფასების დროულ გაცემას;

ბ) განახორციელებს საგანგებო დანახარჯების მართვას;

გ) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურთან ერთად მოახდენს სადაზღვევო კომპანიებთან კომუნიკაციას;

დ) იურიდიულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს ფინანსური და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მომზადება/ შენახვას (მათ შორის ელექტრონულად - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით/დახმარებით).

6.1.10. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების ხელმძღვანელები:

ა) უზრუნველყოფენ თავიანთი მიმართულებით ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკის დანერგვასა და შესრულებას;

ბ) უზრუნველყოფენ ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესრულების და მონიტორინგის პროცესში სათანადო ჩართულობას.

6.1.11. უნივერსიტეტის თანამშრომლები:

ა) ბიზნესუწყვეტობის გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფენ თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) გაეცნობიან ბიზნესუწყვეტობის გეგმასა და პროცედურებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში იმოქმედებენ ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 7. ბიზნესპროცესებზე რისკის ზემოქმედების ანალიზი

7.1. უნივერსიტეტის ბიზნესპროცესებზე რისკის ზემოქმედების ანალიზი მოიცავს ძირითადი რისკების იდენტიფიკაციას და მათი ზეგავლენით სავარაუდო „მოცდენის პერიოდს“ განსაზღვრას. იგი ეფუძნება რისკების შეფასების თანდართულ მეთოდოლოგიას/სქემას (სქემა 6) რისკების შეფასება მიმართულია პოტენციურ საფრთხეებისა და საშიშროების დადგენაზე, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს უნივერსიტეტზე და იმ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რაც უზრუნველყოფს შეფერხებების აღმოფხვრას.

7.2. რისკის ზემოქმედების ანალიზი ორიენტირებულია შეაფასოს შემთხვევის დადგომის ალბათობა და გავლენის სიმძიმე. ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმის საფუძველია ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტს გამოეყენებინა დამატებითი დრო და რესურსები მოსალოდნელი და მძიმე მოვლენების შესამცირებლად და გეგმის შესამუშავებლად.

7.3. უნივერსიტეტი, მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახდენს აგრეთვე რისკების დაყოფას კატეგორიებად, შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. რისკის კატეგორიების იდენტიფიკაცია გულისხმობს ზემოქმედების შედეგების განსაზღვრას, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

7.4. უნივერსიტეტში ძირითადი ბიზნესპროცესების შეფასების შედეგად გამოყოფილია შემდეგი სახის რისკები:

ა) განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები - რისკები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში სახელმწიფო განათლების სფეროში პოლიტიკის, აგრეთვე უსდ-ბის სტატუსთან, მართვასთან და ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან;

ბ) საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები - რისკები, რომლებიც თავს იჩენენ განათლების სფეროში საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში;

გ) ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები - რისკები, რომლებიც თავს იჩენენ უნივერსიტეტში ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის პროცესში, აგრეთვე ინტერნეტთან წვდომის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას.

დ) რეპუტაციასთან და ბრენდინგთან დაკავშირებული რისკები - რისკები, რომლებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის დაბალი ცნობადობიდან, სამიზნე და ჩართულ მხარეთა ნეგატიური განწყობიდან;

ე) ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები - რისკები, რომლებიც გამომდინარეობს დამდგარი სტიქიური უბედურებიდან (წყალდიდობა, ძლიერი ქარი, ქარბორბალა, მიწისძვრა, ხანძარი), ტერორისტული აქტებიდან, ვირუსული/ეპიდემიური დაავადებით/პანდემიით გამოწვეული კარანტინიდან და შენობა-ნაგებობების ნგრევიდან.

7.5. უნივერსიტეტი, რისკების გამოვლენისა და შეფასების პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფს პოტენციური და არსებული რისკების გაზომვას, რომლის დროსაც ხდება რისკის ანალიზის შედეგებისა და რისკის კრიტერიუმების შედარება.

7.6. რისკის გაზომვის მიზანია, შესაბამისი პრევენციული ზომები იქნას მიღებული კონკრეტული კრიტერიუმებიდან, უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე და ითვალისწინებს შეფასებული, ანუ რეიტინგმინიჭებული რისკის შედარებას არსებულ კონტროლის მექანიზმებთან და უნივერსიტეტისთვის რისკის მისაღებ დონესთან.

7.7. რისკის შეფასების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების საპასუხოდ. საპასუხო ღონისძიებათა მიზანია უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რაც

ასახეობა საფრთხის შემცირებაში და უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევაში.

7.8. საპასუხო ღონისძიებებს შორის საუკეთესოს შერჩევა მოიცავს ყოველი სახის ღონისძიების ხარჯისა და სარგებლის შედარებას. რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური), მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით. საპასუხო ღონისძიებების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური, სოციალური და სხვა.

7.9. ყოველ რისკთან მიმართებაში უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული საპასუხო ქმედებები. მათ შორის:

ა) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს და ახორციელებს სხვადასხვა მმართველობით გადაწყვეტილებებს, რათა არ დადგეს კონკრეტული რისკის წარმოქმნის წინაპირობა;

ბ) ახორციელებს კონკრეტულ რისკზე რეაგირების საპასუხო ქმედებებს;

გ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იყენებს რისკზე რეაგირების იმგვარ საპასუხო ქმედებას, რაც განსხვავდება ყოველდღიური გადაწყვეტილებებისაგან და მიმართულია მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში რისკების, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის შემცირებაზე. ასევე ხდება შეფუება და მონიტორინგი ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს და სხვა;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წელიწადში ერთხელ აფასებს როგორც თავად რისკებს, ასევე რისკების მართვის გეგმით დასახულ რეაგირების პროცედურებს, აგრეთვე უზრუნველყოფის ცვლილებების შესახებ თანამშრომლების ინფორმირებას.

მუხლი 8. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

8.1. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტზე თანდართული ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა (სქემა 7) შემუშავდა უნივერსიტეტში სტუდენტების, თანამშრომლებისა და სტუმრების ნებისმიერ დროს, მათ შორის პროცესების მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაში, უწყვეტი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით.

8.2. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის სრულფასოვანი ფუნქციონირება სხვადასხვა სახის რისკების წარმოქმნის შემთხვევაში, მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულის უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებაზე მიმართულ საქმიანობებს, რათა დამდგარი რისკის შემთხვევაში, მინიმუმამდე შემცირდეს წარმოქმნილი დანაკარგები, სწრაფად აღდგეს ბიზნესპროცესები და უნივერსიტეტმა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელოს ფუნქციონირება.

8.3. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა აღწერს რისკების პრევენციაზე მიმართულ საქმიანობებს, აგრეთვე დამდგარი რისკის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიზნესპროცესის

აღსადგენად მიმართულ საქმიანობას და მასზედ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/თანამდებობის პირებს.

სქემა 6 - რისკების დახასიათება (შეფასება)

რისკების ხდომილების ალბათობა		
დიდი ალბათობა	5	მოსალოდნელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში რეგულარულად მოხდეს
სავარაუდო	4	მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ მოხდეს
შესაძლებელი	3	შეიძლება მოხდეს იშვიათად
ნაკლებად სავარაუდო	2	სავარაუდოდ არ მოხდება გარკვეული დროის მანძილზე
იშვიათი	1	შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით არასდროს მოხდება
რისკების გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე		
ფატალური	5	გარემოს კრიტიკული შეუსაბამობა – მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს უნივერსიტეტის საქმიანობის შეჩერებას გარკვეული დროით და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა
მაღალი	4	გარემოს არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, უნივერსიტეტის საქმიანობას მიმდინარე ეტაპზე, მაგრამ მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია საქმიანობის უმოკლესი პერიოდისათვის
ზომიერი	3	გარემოს ზომიერი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, უნივერსიტეტის საერთო საქმიანობას, თუმცა მისი გამოსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას უნივერსიტეტის საქმიანობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ
ნაკლებად მნიშვნელოვანი	2	გარემოს არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის
უმნიშვნელო	1	მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი), უნივერსიტეტის საქმიანობაზე არაარსებითი გავლენის მქონე, ლოკალური შეფერხებები, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია საქმიანობის შეფერხების გარეშე უმნიშვნელო დანაკარგებით

„დამტკიცებულია“
შპს „ავიენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 01 აგვისტოს
სხდომის № 01-03/03 ოქმის დანართი № 05
სქემა 7

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

რისკი	ქულა/ რისკის დონე	მოსალოდნელი შედეგი	პრევენცია / რისკ მენეჯმენტი	პასუხისმგებელი/ ჩართული სამსახური	ბიზნეს შენარჩუნება უწყვეტობის	ბიზნეს პროცესის აღდგენა
სახელმწიფო პოლიტიკა, განათლების სფეროს რეგულირება						
განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	9 მაღალი	- სტანდარტების და მოთხოვნების გაზრდა უნივერსიტეტის მიმართ - უნივერსიტეტის საქმიანობის შეფერხება მენეჯმენტის რეალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - განათლების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა მოსალოდნელი სტანდარტების ცვლილებებისა და მისი ამოქმედების სავარაუდო ვადის შესახებ	- რექტორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებსა და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა - ახალი მოთხოვნების ადექვატურად	

					უნივერსიტეტის მენეჯმენტის ცვლილება	
უცხოეთის მოქალაქეების საქართველოში სწავლების საკითხში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	15 ძალიან მაღალი	- სტუდენტთა კონტიგენტის სავარაუდო შემცირება - უნივერსიტეტის შემოსავლების შემცირება	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - ალტერნატიული ბაზრისა და ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგი	- რექტორი - ხარისხის - უზრუნველყოფის სამსახური - საერთაშორისო ურთიერთობა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა - ალტერნატიული ბაზრებზე შესვლის პერსპექტივის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება	

სახელმწიფოს მხრიდან უსდ-ის დაფინანსების სისტემის ცვლილება /დისკრიმინაციული დამოკიდებულება კერძო და სახელმწიფო უსდ მიმართ/	9 მაღალი	• სახელმწიფო უსდ-ების ფინანსური უპირატესობა კერძო უსდ-თან მიმართებაში • მეტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა სახელმწიფო უსდ-ში • სტუდენტთა და აკადემიური პერსონალისათვის სახელმწიფო უსდ სისტემისათვის უპირატესობის მინიჭება • სტუდენტთა გაზრდილი დენადობა (გასვლა უნივერსიტეტიდან) • კვალიფიციური პერსონალის დენადობის ზრდა (გასვლა უნივერსიტეტიდან)	• საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი • დაფინანსების სიტემის ალტერნატიული პროექტის მომზადება და შეთავაზება განათლების სამინისტროსათვის	• რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • საფინანსო-საბუღალტრო სამსახური	• ფინანსური რესურსების და ბიუჯეტის ოპტიმალური ვარიანტის ფორმირება • მოსალოდნელი ცვლილებების ალტერნატიული საბიუჯეტო ვარიანტის მომზადება უნივერსიტეტისათვის ფინანსური კრიზისის აცილების მიზნით • უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სიახლეების დანერგვა-სტუდენტთა კონტიგენტის გადენის შემცირება და უნივერსიტეტში მობილობით მისაღები სტუდენტებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა • აკადემიური პერსონალის ანაზღაურების, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში	
---	---------------------	--	---	---	--	--

					ჩართულობის, ასევე სოციალური პაკეტის მოქნილი სისტემის დანერგვა და ხელშეწყობა	
სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სისტემის ცვლილება	3 დაბალი	- უნივერსიტეტის შემოსავლების შესაძლო შემცირება - სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება მისთვის სწავლის საფასურის გაძვირების გამო	- შესაძლებლობათა ფარგლებში შიდა საუნივერსიტეტო შეღავათების დაწესება - სტიპენდიების დაწესება, მ.შ. კერძო კომპანიების დაინტერესება სტიპენდიის პროგრამაში ჩართულობაზე	- რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - საფინანსო-საბუღალტრო სამსახური	- ინტენსიური მუშაობა უნივერსიტეტის შემოსავლების გაზრდაზე - კომპანიებთან კომუნიკაციები მათივე საქმიანობის რეკლამირების მიზნით სტუდენტებისათვის სტიპენდიის დაწესებაზე, რომლის გაცემის წესიც შესაძლებელია	
უსდ-ში ჩასარიცხ სტუდენტთა კონტიგენტის გაანგარიშების წესის ცვლილება	20 კრიტიკული	- უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება - უნივერსიტეტის შემოსავლების შემცირება	- აქტიური კავშირი განათლების სამინისტროსთან მოსალოდნელი ცვლილებების ინფორმირებულობის მიზნით - მაქსიმალური მზადება სტუდენტთა კონტიგენტის	- რექტორი - სკოლის დეკანი - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური	- სტრატეგიული გეგმის ცვლილება - ახალი მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტების შესწავლა, არსებული ვითარების შეფასება და	

		ფინანსური კრიზისი და ვალდებულებების ზრდა	გაანგარიშების ახალი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად		განვითარების გეგმის შემუშავება განვითარების ბიუჯეტის ფორმირება	
უნივერსიტეტის სამიზნე ქვეყნებთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაუარესება	10 მაღალი	- სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება - უნივერსიტეტში მყოფ სტუდენტებთან მიმართებაში კონფლიქტების განვითარება	- სტუდენტებთან დამატებითი შეხვედრები კონფლიქტების რეალურად შეფასების მიზნით - მაქსიმალური ყურადღების გადატანა კონფლიქტების პრევენციაზე და სტუდენტთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე	- რექტორი - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური	- პროცესების მუდმივი შესწავლა - სახელმწიფოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება - უსაფრთხოების ზომების გაძლიერება - ალტერნატიული სამიზნე ქვეყნების მოძიება	
საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები						
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილება	12 მაღალი	- უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შესაძლო დაკარგვა - სასწავლო პროცესის შეჩერება - ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი	- სტანდარტულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში სასწავლო გარემოს შეფასება-განვითარება - აკადემიური პერსონალისათვის სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში მხარდაჭერა	- რექტორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სკოლის დეკანი	უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის კორექტირება და ადაპტირება სტანდარტებში ცვლილებების შესაბამისად შესრულების მონიტორინგი	

			სწავლებასთან დაკავშირებით სტუდენტთა მოთხოვნების შეფასება		- ცვლილებები სტრატეგიული განვითარების გეგმაში - სწავლების ხარისხობრივი მხარის სისტემატური მონიტორინგი - ცვლილებების ადექვატური	
უნივერსიტეტის ავტორიზაციის შეჩერება	10 მაღალი	- უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობის შეჩერება; - არსებულ სტუდენტთა კონტიგენტის გადანაწილება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში; - უნივერსიტეტის მიმართ ნდობის დაკარგვა; - ავტორიზაციის მიღებამდე სტუდენტთა ახალი კონტიგენტის მიღების შეჩერება	- ინსტიტუციის ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. - პოლიტიკების, პროცედურებისა და პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასება, განახლება - პერსონალის პერიოდული შეფასება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - ყველა სახის კმაყოფილების კვლევები	- რექტორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სკოლის დეკანი	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. - სტუდენტების ინფორმირება. - ხელახალი ავტორიზაციის გეგმის შემუშავება.	

					- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარება - ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა	
უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის აკრედიტაციის შეჩერება	10 მაღალი	- დროებითი პრობლემების წარმოქმნა უნივერსიტეტის საქმიანობის განხორციელებაზე; - პრობლემები სასწავლო პროგრამების განხორციელებაზე; - სტუდენტთა ნაკადის შემცირება; - ფინანსური და ადამიანური რესურსების შემცირება	- უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობასთან შედარება; - აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროგრამების, სწავლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - პროგრამის ეფექტურობის კვლევების ჩატარება - საერთაშორისო რეგულაციების სისტემატური შესწავლა, შეფასება	- რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული მიმართულებით - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სკოლის დეკანი	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა - სტუდენტების ინფორმირება - შეზღუდვების მოხსნის სამოქმედო გეგმის შემუშავება - ტრენინგები აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის	

			უნივერსიტეტთან მიმართებაში ახალი მოთხოვნების შესაბამისად სწავლების ხარისხობრივად გაუმჯობესება		- ახალი აკადემიურ პერსონალის მოზიდვა - სასწავლო პროცესების დახვეწა, გაუმჯობესება - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლება - სხვა გამოცდილებების გაზიარება - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	
სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მოთხოვნაზე სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი გადაწყვეტილება	15 მალიან მაღალი	- სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის შეფერხება - უნივერსიტეტის შემოსავლების შემცირება და სასწავლო პროცესის შეფერხება - უნივერსიტეტის განვითარების შეფერხება	- მუშაობა კონტინენტის გაზრდის მოთხოვნის ადექვატური სასწავლო გარემოს შექმნაზე - სასწავლო ფართის განვითარება და მუდმივი განახლება	- რექტორი - ხარისხის მართვის სამსახური - რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულები	- საკანონმდებლო ცვლილებების და სტანდარტების მოთხოვნების მუდმივი შესწავლა - უნივერსიტეტში არსებული ვითარების შეფასება და სტანდარტულ მოთხოვნებთან შეუსაბამობების გამოვლენა	

				თ სკოლის დეკანი	განვითარების გეგმის შემუშავება	
იმიჯი და ცნობადობა						
უნივერსიტეტის იმიჯის შელახვა	15 ძალიან მაღალი	- სტუდენტთა შემცირებული კონტიგენტი - პროფესიული კადრების ნაკლებობა - ფინანსური დავალიანებების ზრდა - საქმიანობის შეჩერება	- ბაზრის კვლევა - PR აქტივობების გაძლიერება - პროგრამების განახლება - კვალიფიციური ადამიანური რესურსების განახლება	- ხარისხის უზრუნველყოფი ს სამსახური - სკოლის დეკანი - პროგრამის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური	- PR აქტივობები, პროგრამების შეფასება - სიტუაციის ანალიზი, - უნივერსიტეტის აქტივობებისა და ცნობადობის ამაღლების გეგმის შემუშავება	
სამიზნე ჯგუფებში უნივერსიტეტის სადმი ნეგატიური განწყობა	15 ძალიან მაღალი	- სტუდენტთა შემცირებული კონტიგენტი - პროფესიული კადრების ნაკლებობა - ფინანსური დავალიანებების ზრდა - საქმიანობის შეჩერება	- სამიზნე ჯგუფების პერიოდული კმაყოფილების კვლევა. - სამიზნე ჯგუფებთან უკუკავშირის სისტემის აქტიური გამოყენება; - მედიისა და სოცქსელების მონიტორინგი. - პოზიტიური კონტიგენტის მქონე ინფორმაციის	- რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული მიმართულებით - საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური	- მარკეტინგული კვლევების ჩატარება. - ცნობადობის ამაღლებაზე მიმართული კამპანიების ეფექტიანობის შეფასება და განახლება	

			განთავსება სხვადასხვა მედია პლატფორმაზე			
სოციალურ ქსელებში უნივერსიტეტის მიმართ ნეგატიური კამპანია	15 ძალიან მაღალი	- სტუდენტთა შემცირებული კონტიგენტი - პროფესიული კადრების ნაკლებობა - ფინანსური დავალიანებების ზრდა - საქმიანობის შეჩერება	- ყოველ სემესტრული მონიტორინგი - ინფორმაციის ყოველდღიური კონტროლი - რეალური ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის მხრიდან	- რექტორი - საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური	ჩარიცხვების ანალიზი - ფინანსური მდგარდობის შეფასება, - მარკეტინგული სტრატეგიის გადახედვა - სამოქმედო გეგმის ცვლილება	
ნეგატიური მედია გამოხმაურებები	15 ძალიან მაღალი	- უნივერსიტეტისადმი საზოგადოების ნეგატიურად განწყობა - უნივერსიტეტის პრესტიჟის შემცირება - სტუდენტთა ახალი კონტიგენტის შემცირება - მობილობით შესაძლო ჩარიცხვის მსურველთა ნაკადის შემცირება	- რეგულარული კონტრაქტი მედია გაერთიანებებთან - უნივერსიტეტის აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და ინფორმაციის მიწოდება მედიასაშუალებებისათვის	- რექტორი - საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური	- მარკეტინგული კვლევების ჩატარება. - ცნობადობის ამაღლებაზე მიმართული კამპანიების ეფექტიანობის შეფასება და განახლება	

		• არსებული სტუდენტების გასვლა უნივერსიტეტიდან				
საქართველოს მოქალაქე სტუდენტების ჩარიცხვების შემცირებული მაჩვენებელი	3 დაბალი	• სტუდენტა შემცირებული კონტიგენტი და პრესტიჟის დაცემა • სასწავლო პროცესების შეფერხება • ფინანსური კრიზისი	• სწავლების ხარისხის მაქსიმალური დონის შექმნა • ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების გაძლიერება • სწავლების გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართულობა	• რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული მიმართულებით • სკოლის დეკანი • საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური	• ბაზრის ინტენსიური კვლევა • უნივერსიტეტის აქტივობების, სწავლების მეთოდების, შედეგების აქტიური რეკლამირება • აბიტურიენტთათვის, სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ღია კარის დღეების მოწყობა	
უცხოეთის მოქალაქე სტუდენტების ჩარიცხვების შემცირებული მაჩვენებელი	20 კრიტიკული	• სტუდენტა შემცირებული კონტიგენტი და პრესტიჟის დაცემა • სასწავლო პროცესების შეფერხება • ფინანსური კრიზისი	• უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფისათვის • სწავლების ხარისხის მაქსიმალური დონის შექმნა • ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარ-	• რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული მიმართულებით • სკოლის დეკანი • საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული	• აქტიური თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან • უნივერსიტეტის საქმიანობის საცნობარო ინფორმაციის/მათ შორის ვებ-გვერდის შექმნა, შედეგების აქტიური ასახვა/	

			ჩვევების გამდიერება • სწავლების პროგრამებში ჩართულობა	სწავლების გაცვლით აქტიური	დაგეგმარების სამსახური		
სტუდენტური გარემო, სოციალური მდგრადობა	9 მაღალი	- პირველკურსელთა ადაპტირების სირთულე - უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე	- სტუდენტური სადამოების გამართვა - ერთობლივ საზოგადოებრივ ინიციატივებში ჩართულობა (გამწვანების, დასუფთავების აქციები) - ექსკურსიები ქალაქისა და სხვადასხვა რეგიონების მასშტაბით, ერთობლივი ღონისძიებები სტუდენტური თვითმმართველობის გააქტიურება		- რექტორი, - სკოლის დეკანი - ჯგუფის კურატორი	- ვითარების სისტემატური კონტროლი - გამოკითხვები და შეფასებები სტუდენტური ურთიერთობების შესახებ - დეკანის, რექტორის ხშირი შეხვედრები სტუდენტებთან არსებული პრობლემების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით	
ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები							

აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება უნივერსიტეტში დასაქმებაზე	15 ძალიან მაღალი	- ნაკლები ინტერესი უნივერსიტეტში მუდმივ დასაქმებაზე - სწავლების ხარისხის გაუარესება	- აკადემიური პერსონალის წახალისება შედეგების ადექვატურად, - სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება - კორპორაციული შეღავათიანი სისტემის შექმნა სხვადასხვა მომსახურებაზე	- რექტორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - სკოლის დეკანი - პროგრამის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოები სამსახური	- დროებითი ჩანაცვლება, - ვაკანსიის გამოცხადება	
